RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის

კოლეჯის

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

სარჩევი

შესავალი..... 3

ორგანიზაციული მიმოხილვა 3

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მისია 4

ინტერნაციონალიზაციის მიზნები 5

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები..... 7

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი.....9

შესავალი

ორგანიზაციული მიმოხილვა

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, როგორც დუალურად და მოდულურად, ასევე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებული მიდგომით. მიუხედავად ამისა, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტზე დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება სწავლების დუალური მეთოდის დანერგვით კოლეჯის პრიორიტეტია, რადგან ისინი საშუალებას აძლევს ნებისმიერ მოქალაქეს მიიღოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლება და/ან გადაემზადოს მოქნილი მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების მეთოდით და წარმატებით იპოვოს თავისი ადგილი, დასაქმდეს როგორც თავის ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გახდეს კონკურენტუნარიანი და მოტივირებული, დაგეგმოს საკუთარი მომავალი.

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის სტრატეგიული მიზანი №4 ეხმიანება ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, რაც გულისხმობს სასწავლო-სამეწარმეო, საერთაშორისო პარტნიორობითა და დონორებთან თანამშრომლობით უახლესი ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვას, ერთობლივ, გაცვლით და სასტიპენდიო პროგრამების ამოქმედებას პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პერსონალისთვის.

შესაბამისად, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯისთვის პრიორიტეტია ჩაერთოს სხვადასხვა საერთაშორისო ქსელში, გააღრმავოს ურთიერთობები პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებთან და ასევე, დაამყაროს ახალი კავშირები.

ა(ა)იპ სარკნიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ეხმიანება კოლეჯის მისიას, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომითი ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრებით საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილება სარკინიგზო ინდუსტრიაში. შესაბამისად, კოლეჯის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება და დანერგვა ხელს შეუწყობს კოლეჯის წარმატებულ ფუნქციონირებას ევროპული საგანმანათლებლო სივცრეში ინტეგრაციის გზით, გლობალიზაციის

პროცესებზე მორგებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფასა და კოლეჯის, საგანმანათლებლო დაწესებულების იმიჯის განმტკიცებას.

სახელმწიფო მხარდაჭერა და პოლიტიკა

მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკა პროფესიული განათლების მიმართულებით მნიშვნელოვნად ზრდის კოლეჯის შანსებს მოიპოვოს სახელმწიფო მხარდაჭერა განვითარების სტრატეგიული პროექტებისათვის, ქსელური ინიციატივებისთვის და სერვისის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

დონორი ორგანიზაციების ინტერესი

ქვეყანაში არსებობს პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის ინტერესი, როგორც სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო დონორთა მხრიდან. ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი ეფექტურად იყენებს ამ შესაძლებლობას განვითარების გეგმებში საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრირებისა და საერთაშორისო კონტაქტების დამყარებისთვის.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მისია

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მისიაა ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემის სტანდარტების დანერგვის გზით, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო შრომითი ბაზრის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციების, ეროვნული და საერთაშორისო ღირებულებების მატარებელი, კონკურენტუნარიანი პროფესიული განათლების მქონე კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ამ მისიის განხორციელება მოხდება საერთაშორისო თანამშრომლობის, მობილობის, ერთობლივი პროექტებისა და უცხოური პარტნიორების ჩართულობის გზით. კოლეჯი ისახავს მიზნად დაამყაროს გლობალური კავშირები რკინიგზის ტრანსპორტის სფეროში, რათა უზრუნველყოს ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ხელი შეუწყოს ინოვაციურ და მდგრად განვითარებას ამ დარგში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ინტერნაციონალიზაციის მიზნები

მიზანი 1: საერთაშორისო პარტნიორობებისა და ქსელების შექმნა კვლევისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სარკინიგზის ტრანსპორტის სფეროში.

ამოცანა 1.1. სულ მცირე 3 პარტნიორული შეთანხმება/მემორანდუმის გაფორმება საერთაშორისო უნივერსიტეტებთან/კოლეჯებთან სარკინიგზის ტრანსპორტის მიმართულებით;

ამოცანა 1.2. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;

ამოცანა 1.3. აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში პარტნიორ დაწესებულებებთან, რის შედეგადაც წელიწადში სულ მცირე 2 აკადემიურ პერსონალს შეეძლება პარტნიორ ინსტიტუტში ვიზიტი;

ამოცანა 1.4 საერთაშორისო ფორუმებში, სიმპოზიუმებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღება;

ამოცანა 1.5. ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციის გამართვა რკინიგზის ტრანსპორტის განათლების საკითხებზე, რომელსაც დაესწრებიან მონაწილეები სულ მცირე 3 ქვეყნიდან;

მიზანი 2: საგანმანათლებლო გამოცდილების გამდიდრება საერთაშორისო გამოცდილებების, ცოდნისა და რესურსების ინტეგრირებით.

ამოცანა 2.1. სასწავლო ენების პროგრამის (ინგლისური, სხვა შესაბამისი ენები) შემუშავება და განხორციელება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის;

ამოცანა 2.2. წელიწადში სულ მცირე 2 საერთაშორისო სტუმრის პროფესორი/მეცნიერის მოწვევა ლექციებისა და სემინარების ჩასატარებლად;

მიზანი 3: გლობალური აზროვნების მქონე, ინფორმირებული საზოგადოების ჩამოყალიბება, რომელიც პატივს სცემს მრავალფეროვნებას და ხელს უწყობს ტოლერანტობას.

ამოცანა 3.1. ყოველწლიური "საერთაშორისო კულტურის კვირეულის" აღნიშვნა სხვადასხვა კულტურის წარმოჩენითა და კულტურათაშორისი გაცვლის წახალისებით;

ამოცანა 3.2. საერთაშორისო სტუდენტური ასოციაციის დაფუძნება კულტურათაშორისი გაცვლისა და აქტივობების ხელშესაწყობად;

მიზანი 4: სასწავლო გეგმებისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესება საერთაშორისო თანამშრომლობის გზით

ამოცანა 4.1. ჩატარდეს სასწავლო გეგმის სრულყოფილი მიმოხილვა 2 საერთაშორისო პარტნიორი დაწესებულების მონაწილეობით;

ამოცანა 4.2. გადაიხედოს სულ მცირე 2 ძირითადი კურსი და შეტანილ იქნას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკები ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად;

ამოცანა 4.3. უზრუნველყოფილ იქნას პროფესიული განვითარების შესაძლებლობები აკადემიური პერსონალის 25%-ისთვის საერთაშორისო ვორქშოფების, კონფერენციებისა და ტრენინგების საშუალებით;

ამოცანა 4.4. შემუშავდეს და შეთავაზდეს 2 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამა საერთაშორისო პარტნიორებთან;

ამოცანა 4.5. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება და დანერგვა;

მიზანი 5: საერთაშორისო სტუდენტური მობილობის გაზრდა

ამოცანა 5.1. დამყარდეს პარტნიორობა სულ მცირე 2 ევროპულ უნივერსიტეტთან/კოლეჯთან სარკინიგზის ტრანსპორტის სფეროში;

ამოცანა 5.2. შემუშავდეს და განხორციელდეს სტრუქტურირებული სტუდენტური გაცვლის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს წელიწადში 2 სტუდენტის გაცვლას;

ამოცანა 5.3. შეიქმნას ენისა და კულტურის მომზადების კურსები გამავალი და შემოსული სტუდენტებისთვის;

ამოცანა 5.4. დაფინანსების მოპოვება 1 საერთაშორისო მობილობის სტიპენდიისთვის წელიწადში;

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასების ინდიკატორები

მოცემული მიზნებისა და ამოცანების საფუძველზე, ქვემოთ მოცემული შეფასების ინდიკატორები შეიძლება გამოვიყენოთ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შესაფასებლად:

მიზანი 1:

- გაფორმებული საერთაშორისო პარტნიორული შეთანხმებების/მემორანდუმების რაოდენობა სარკინიგზო ტრანსპორტის სფეროში;

- ყოველწლიურად პარტნიორ დაწესებულებებში ვიზიტის ფარგლებში, აკადემიური პერსონალის რაოდენობა;

- დანერგილი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;

- საერთაშორისო ფორუმებში, სიმპოზიუმებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მაჩვენებლები;

- ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე ქვეყნების რაოდენობა;

მიზანი 2:

- სასწავლო ენების პროგრამების რაოდენობა და მონაწილეთა რიცხვი;

- მოწვეულ საერთაშორისო სტუმართა - პროფესორების/მეცნიერების რაოდენობა წელიწადში;

მიზანი 3:

- "საერთაშორისო კულტურის კვირეულის" აღნიშვნის რეგულარობა და მონაწილეთა რაოდენობა;

- საერთაშორისო სტუდენტური ასოციაციის არსებობა და დაგეგმილი კულტურათშორისი აქტივობების რაოდენობა;

მიზანი 4:

- სასწავლო გეგმის მიმოხილვაში ჩართული საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა;

- აკადემიური პერსონალის პროცენტული წილი, რომლებიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროფესიულ განვითარების აქტივობებში;

- შემუშავებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა;

- საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მაჩვენებლები;

მიზანი 5:

- პარტნიორი ევროპული უნივერსიტეტების/კოლეჯების რაოდენობა;

- სტუდენტური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტების რაოდენობა წელიწადში;

- ენისა და კულტურის თემაზე შექმნილი კურსების რაოდენობა;

- საერთაშორისო მობილობის სტიპენდიანტთა რაოდენობა წელიწადში;

ეს ინდიკატორები მოგვცემს საშუალებას კონკრეტულად შევაფასოთ თითოეული მიზნისა და ამოცანის შესრულების დონე და განვსაზღვროთ, რამდენად წარმატებულად ხორციელდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა პრაქტიკაში.

სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდი

კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდად შერჩეული აქვს SWOT-ანალიზი:

Strengths - ძლიერი მხარე
• კომპეტენტური და წარმომადგენლობითი დამფუძნებლები; • კოლეჯსა და საწარმოებში არსებული პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; • სს „საქართველოს რკინიგზის“ მენეჯმენტის აქტიური მონაწილეობა კოლეჯის საქმიანობაში და მზაობა კოლეჯის წარმატებული საქმიანობის ხელშეწყობისთვის, რომელთანაც კოლეჯი უზრუნველყოფს უწყვეტ კავშირს დარგის სიახლეების მყისიერი ასახვისთვის მის მიერ განხორციელებულ პროგრამებში; • ქვეყანაში ერთადერთი პროფესიული კოლეჯი სარკინიგზო დარგში, რომელსაც ამ ეტაპისათვის არ ჰყავს კონკურენტები, რაც ზრდის დამატებითი ფინანსური და ადამიანური რესურსების მოზიდვის ალბათობას. • წარმატებული კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტებისთვის ადეკვატური დასაქმების უზრუნველყოფა.
Opportunities - ორგანიზაციის შესაძლებლობები
• საქართველოში სარკინიგზო ინდუსტრიაში და მომიჯნავე დარგებში დასაქმებულთა დამფუძნებლის/დამსაქმებლის მოთხოვნით მომზადება/გადამზადების ეტაპობრივი საჭიროება;
• სარკინიგზო ინდუსტრიაში დასაქმებულთა მაღალი საშუალო ასაკი და მზარდი მოთხოვნა პროფესიების დაუფლებისადმი და პროფესიული ზრდის შესაძლებლობები; • კოლეჯის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების შესაძლებლობა და კვალიფიციური რეზერვის შექმნა; • კოლეჯის შესაძლებლობა ითანამშრომლოს ადგილობრივ და საერთაშორისო ფონდებთან, ინსტიტუციებთან, დაწესებულებებთან, კომპანიებთან და დონორ ორგანიზაციებთან, რომლის საფუძველზე სასწავლო პროცესში განხორციელდება საუკეთესო პრაქტიკის ინტეგრირება, პროფესიულ

სტუდენტთა და პროფესიულ მასწავლებელთა მობილობის მაჩვენებლების გაზრდა, სასწავლო პროცესის მისადაგება საერთაშორისო სტანდარტებთან; • კოლეჯის წარმადობის სინქრონიზაციის შესაძლებლობა მოთხოვნასთან ყოველწლიური სტატისტიკური მონაცემების ანალიზის შესაბამისად. კოლეჯის მომსახურებაზე მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში არსებულ პროგრამებზე გამოშვების წლიური მაჩვენებლის გაზრდა, ხოლო ახალი პროფესიების შემთხვევაში - მათი შემუშავება და დანერგვა როგორც რკინიგზის ტრანსპორტის, ასევე მომიჯნავე დარგებში ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ; • ფორმალური და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმის გამოყენებით კოლეჯის კურსდამთავრებულთა წლიური რაოდენობის გაზრდა და კადრებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილება ინფრასტრუქტურის და რესურსების მნიშვნელოვანი გაფართოების გარეშე.
Weakness - სუსტი მხარე
• პროფესიული განათლების მიღებაზე დაბალი მოთხოვნა და მისი ნაკლებად პოპულარულობა; • კოლეჯის ტერიტორიაზე საერთო საცხოვრებლისა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურული განვითარებისთვის საჭირო ბაზის არქონა.
Threats - მოსალოდნელი საფრთხე/რისკები
• ძვირადღირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/შევსების საჭიროება და ფინანსური მხარდაჭერის მოძიების სირთულე; • გლობალური ან ადგილობრივი ფორსმაჟორული სიტუაციები (პანდემია და სხვ.).